# საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

# ბრძანება №09/ნ

## 2018 წლის 31 ივლისი

## ქ. თბილისი

**„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით (სსმ, 163, 14/12/2010) დამტკიცებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ (დანართი №4):

1. 010167 პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაციები:

„ა) 010168 – მებაღეობა;

ბ) 010169 – სოფლის მეურნეობა;

გ) 010170 – მევენახეობა;

დ) 010171 – მებოსტნეობა“.

2. 010364 პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაცია:

„ა) 010365 – მეფუტკრეობა;

ბ) 010366 – ცხენის მოვლა“.

3. 080395 პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაცია:

„080396 – თმისა და სილამაზის მომსახურება“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,<br>მეცნიერების, კულტურისა და<br>სპორტის მინისტრი — მიხეილ ბატიაშვილი